

# ინფორმაცია მშობლებისთვის წაკითხვის და მოყვლის დროს

პატივცემულო მშობლებო,

ხმამაღლა კითხვა და ისტორიების მოყოლა ადაფრთოვანებს ყველა ბავშვებს, რადგანაც მათ უყვართ მოთხრობები. ხმამაღლა კითხვის დროს, ისინი სწავლობენ მოსმენას და ლაპარაკს და ეს მათ ეხმარებათ, გადმოსცენ საკუთარი გრძნობები.

ამ წიგნის დახმარებით, თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ ყოველდღიურ ცხოვრებას გერმანიაში და ისწავლოთ პირველი გერმანული სიტყვები. გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახს, სიხარულს ერთად ხმამაღლა კითხვის და ისტორიების მოყოლის დროს!



## ერთად გავიცნოთ ყოველდღიური ცხოვრება გერმანიაში

რა აღმოჩენა შეიძლება გავაკეთოთ ბავშვების სათამაშო ადგილზე ან ბაზარში? გაესაუბრეთ თქვენს შვილს სურათებზე წიგნში „ჩვენ ვართ მეგობრები“. ჩამოთვალეთ თუ რას ხედავთ სურათებზე, ან დასვით კითხვები სურათებთან დაკავშირებით. თავისთავად ბუნებრივად დაიწყება საუბარი ახალ გარემოსა და ყოველდღიურ მოვლენებთან დაკავშირებით.



## ისწავლეთ პირველი გერმანული სიტყვები ერთად

წიგნში თქვენ ყოველ გვერდზე იპოვნით რამდენიმე გერმანულ სიტყვას, რომელიც ემთხვევა სურათს და შემოხაზულ ბუშტში ჩასმულ დ კოდს. თუ თქვენი მობილურით ჩაასკენებთ დ კოდს, გაიგონებთ როგორ წარმოითქება ეს სიტყვები. ასე რომ, თქვენ შეილთან ერთად მარტივად ისწავლით პირველ გერმანულ სიტყვებს და ივარჯიშებთ.



## წაკითხეთ ხმამაღლა და მოყვით ისტორიები

ხმამაღლა კითხვის დროს, თქვენ დიდ დროს ატარებთ შვილთან ერთად. ეს წარმოქმნის სიახლოვეს, თქვენი შვილისთვის ეს დრო დაკავშირებული იქნება ბევრ სასიამოვნო გრძნობებთან. გარდა ამისა, ეს თქვენს შვილს ეხმარება, რათა მოგვიანებით კარგად ისწავლოს კითხვა. თქვენ ხმამაღლა არ უნდა წაკითხოთ გერმანულად. გააკეთეთ ეს იმ ენაზე, რომელზედაც თქვენ ესაუბრებით თქვენს შვილს.

ფონდი „კითხვა“ უძღვება პროგრამას „კითხვა გვეხმარება“. კითხვის დაწყება ლტოლვილთა შვილებისთვის“, რომელიც ხორციელდება განათლების და მეცნიერების ფედერალური სამინისტროს ხელშეწყობით.

გისურვებთ სიამოვნებას ხმამაღლა კითხვის და მოყვლის დროს!

წწწ.ლესენ-ბრინგტ-უნს-წეიტერ.დე

